საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე

იოანე, XII ს. II ნახ. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლის რომანას მონასტერში. თამარ მეფის შეკვეთით მას გადაუწერია ვანის სახარება, რ-იც ბიზანტ. ოსტატ მიქაელ კორესელს მოუხატავს და დაუსურათებია. მორთულობა (კამარები, თავსამკაულები, მინიატიურები) წიგნისა და თავების დასაწყისშია თავმოყრილი. ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით შესრულებული სახარება (29 სმ × 21 სმ) სეპიის (ღია ყავისფერი) მელნით ორ სვეტადაა ნაწერი. მორთულობის სიმდიდრითა და შესრულების ხასიათით ვანის სახარება ერთი უპირველესთაგანია ქართ. „არისტოკრატიულ" ხელნაწერთა შორის.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.